www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 7 ივლისი, 2012 წელი. | №3058 (151) | ფასი 50 თეთრი

## ეუთო საქართველოში დაბრუნებას ცდილობს

### რუსეთს მსოფლიო პოლიტიკური აზრის გათვალისწინება მოუწევს

გუშინ, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი - "საქართველოში არსებული მდგომარეობა". ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა, თუმცა ცნობილია პროექტის შინაარსი.

ათპუნქტიან დოკუმენტში, რომლის ავტორია პოლონეთის წარმომადგენელი მიხეილ შცერბა, საუბარია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 2007 წლის რეზოლუციის შესრულების აუცილებლობაზე, რომელიც ეუთო-ს სივრცეში კონფლიქტების დარეგულირებას გულისხმობს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



## უკრაინის ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს

ივა შილაკაძე

უკრაინის უმაღლესი რადას საგაზაფხულო სესიამ გუშინ მუშაობა დაამთავრა. მორიგი საშემოდგომო სესია მუშაობას 4 სექტემბერს განაახლებს, თუმცა, სავარაუდოდ, ზაფხულში პარლამენტი ორი-სამი დღით მაინც შეიკრიბება რიგგარეშე სესიაზე.

პარასკევს რადამ უარი თქვა სპიკერის ვლადიმირ ლიტვინის გადადგომის თაობაზე განცხადების განხილვაზე. დღის წესრიგში ამ საკითხის ჩართვას სხდომაზე დარეგისტრირებული 287 დეპუტატიდან მხარი არც ერთმა არ დაუჭირა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



არსენი იაცენიუკი აქციაზე კიევში

## ყველაზე არაკორუმპირებული ნატო-ს წევრობის მსურველთა შორის

*"საქართველო ნატო-ს წევრობის მსურველ ევროპის ქვეყანათა შორის ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის მოქალაქეებთან შედარებით 4-ჯერ ნაკლებად აწყდებიან კორუფციას ყოველდღიურ ცხოვრებაში," - ასეთია საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის შედეგების თაობაზე ოთხი ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევის შედეგები, რომლიც გუშინ იუსტიციის სამინისტრომ შეაჯამა.*

**"საქართველომ, ფაქტობრივად, შეცვალა ის წარმოდგენა, თითქოს კორუფციის დამარცხება რთულია, თუ მოინდომებ, ყველაფერი შეიძლება გააკეთო. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს კონკრეტული შედეგი,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ.

კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების 99 პროცენტისთვის გასულ წელს არც ერთხელ არ მოუთხოვიათ ქრთამი და ამ შედეგით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა. კვლევის თანახმად, ამ შედეგებით, საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა დანია და ფინეთი.

ნატო-ს წევრობის მსურველ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია. საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის მოქალაქეებთან შედარებით ოთხჯერ ნაკლებად აწყდებიან კორუფციას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ამომრჩეველთა საერთო სიიდან 16 000 გარდაცვლილი ამოიღეს

დათო გამისონია

გუშინ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული "კარდაკარის" წინასწარი მონაცემები წარმოადგინა. მამუკა კაციტაძის თქმით, კომისია "კარდაკარს" 15 ივლისს დაასრულებს, შემდეგ 31 ივლისამდე კომისიის მიერ გადამოწმებულ სიას სახელმწიფო უწყებების მონაცემებს შეადარებენ. ეს პროცესი, მამუკა კაციტაძის თქმით, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ყაზარმული დანაყოფებიდან დაიწყო. ამას მოჰყვება სიის შედარება საკონსულო დეპარტამენტის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სამინისტროს და სხვა უწყებების მონაცემებთან.

მამუკა კაციტაძის თქმით, კანონის შესაბამისად, კომისიას საბოლოო სია პირველ აგვისტოს მზად ექნება. თუმცა, კაციტაძის მტკიცებით, ამომრჩეველთა საერთო სიის საბოლოო ვერსია წინასწარი მონაცემებისგან რადიკალურად განსხვავებული არ იქნება. რაც შეეხება "კარდაკარის" ამჟამინდელ შედეგებს, მამუკა კაციტაძის ინფორმაციით, კომისიამ 3 464 683 ამომრჩეველი გადაამოწმა და 110 000 დარღვევა აღმოაჩინა. აქედან, 40 000 უზუსტობა ამომრჩეველთა პირად მონაცემებში დაფიქსირდა, რაც უკვე ჩასწორებულია და, როგორც კაციტაძე ამბობს, ეს პირები სიაში არიან.

მამუკა კაციტაძე აღნიშნავს, რომ საყოველთაო "კარდაკარის" დროს სიიდან 16 000 გარდაცვლილი ამოშალეს. ხოლო, 300 000 ამომრჩეველს სიაში გაუკეთდა მინაწერი - "იმყოფება საზღვარგარეთ." მამუკა კაციტაძის თქმით, 125 000 დაუდგენელია პირია, ე.წ. "მიწერილები." "მიწერილების" სია თითოეულ საარჩევნო უბანზე ცალკე განთავსდება და ისინი დამკვირვებელთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი იქნება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6451⇩ |
| 1 ევრო | 2.0572⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5599⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.9085⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0661⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 34°C - 20°C |
| ქუთაისი | 29°C - 18°C |
| თელავი | 33°C - 21°C |
| ზუგდიდი | 27°C - 18°C |
| ბათუმი | 26°C - 17°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 2.71 | -0.06 | -2.17% |
| გაზი | 2.76 | -0.19 | -6.70% |
| ოქრო | 1,579.10 | -30.30 | -1.92% |
| ხორბალი | 813.50 | -24.50 | -3.01% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## გიორგი შერმადინის ფავორიტები

ალექსანდრე ასათიანი

გიორგი შერმადინი "მაკაბიში" გადავიდა. ძალიან კარგი ცენტრი ძალიან კარგ გუნდში მივიდა. "მაკაბიში" სიტუაციას დევიდ ბლატი ალაგებს და მისტერ ბლატი ევროპაში ყველაზე არასტანდარტული, საინტერესო მწვრთნელია. ბლატთან ერთად "მაკაბი" შარშან თავისუფალ, სწრაფ, "ფინიქსის" კალათბურთს თამაშობდა და ამ სეზონშიც უნდა აკრიფოს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე





## ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს | ~~5.90~~ | 4.90 |
| ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი | ~~9.00~~ | 4.00 |
| ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | ~~6.90~~ | 3.00 |
| ქართველები ამერიკაში | ~~17.90~~ | 11.90 |
| კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი | ~~15.90~~ | 11.00 |

### ამერიკელი კონგრესმენები ქართველ ოპოზიციონერებს შეხვდნენ

საქართველოში ვიზიტით მყოფი ამერიკელი კონგრესმენები გუშინ ქართველ ოპოზიციონერებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძე, "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი და "ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელი.

როგორც გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მათ ქართველი ხალხის მთავარ საჭიროებებზე ისაუბრეს. თარგამაძის თქმით, ეს არის უსაფრთხოება, თვადაცვისუნარიანობის ამაღლება, პერსპექტივის შექმნა იმისთვის, რომ ქვეყანა გაერთიანდეს.

დავით გამყრელიძის განცხადებით, ისაუბრეს, თუ რა განსხვავებაა შეხვედრაზე წარმოდგენილ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, ასევე ოპოზიციურ პარტიებს შორის. "შეხვედრაზე საუბარი შეეხო, რა ხელშემშლელი პირობები არსებობს, რომ საქართველოში ჩატარდეს სამართლაინი არჩევნები," - განაცხადა გამყრელიძემ და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, თუ როგორი ინტერესით ეკიდება აშშ-ს კონგრესი საქართველოში დაგეგმილ არჩევნებს.

დავით უსუფაშვილმა კი აღნიშნა, რომ საუბარი შეეხო წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მედიის პრობლემებს.

"მათ სრულიად ადეკვატურად დაინახეს ვითარება, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ქვეყანაში იმ ცვლილებებს მოიტანს, რომლებიც აუცილებელია," - დასძინა უსუფაშვილმა.

### ჯონ ბასმა საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობა დაასრულა

აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობა დაასრულა. როგორც აშშ-ს დამოუკიდებლობის 236-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მიღებაზე ჯონ ბასმა განაცხადა, ის საქართველოში ცოლთან, ჰოლისთან ერთად ჩვეულებრივ ტურისტად დაბრუნდება.

"ჩვენ გვექნება საშუალება, ვიხილოთ კიდევ მეტად განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები და ის პროგრესი, რომელიც საქართველოს წინ აქვს," - განაცხადა ჯონ ბასმა.

აშშ-ს დამოუკიდებლობის 236-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მიღება ბოლო ოფიციალური ღონისძიებაა, რომელიც ჯონ ბასმა აშშ-ს ელჩის რანგში გამართა.

"საქართველოში არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც შეუძლია, უზრუნველყოს ყველაზე კონკურენტული და ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რაც კი საქართველოში ოდესმე ჩატარებულა," - განაცხადა ბასმა მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას.

### "ქრისტიან-დემოკრატები" სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ცვლილებების შეტანას ითხოვენ

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი მაგდა ანიკაშვილი უსახლკარო ქალბატონს ესტუმრა, რომელიც წლების განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსს ვერ იღებს. როგორც პარტიაში აცხადებენ, სახელმწიფომ სოციალურად დაუცველ ლამარა მენთეშაშვილს არც ფულადი დახმარება აღმოუჩინა, არც ჯანმრთელობის პოლისით უზრუნველყო და არც სოციალური საცხოვრისით.

მაგდა ანიკაშვილის თქმით, უნდა შეიცვალოს სიღარიბის შეფასების კრიტერიუმები და უმწეოს სტატუსის მინიჭება დამოკიდებული უნდა იყოს მოქალაქის შემოსავალზე და არა უძრავ ქონებაზე. მისივე აზრით, ადამიანი, რომელსაც არა აქვს სახლი, სახელმწიფო დახმარებას ყველაზე მეტად საჭიროებს.

"სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ქალბატონი ლამარას მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს სოციალური საცხოვრისით, რადგან ჩვენი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ სწორედ უსახლკაროები რჩებიან სოციალური დაცვის გარეშე," - განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.

"ქრისტიან-დემოკრატები" სოციალურად დაუცველ ლამარა მენთეშაშვილს შუამდგომლობას დაჰპირდნენ და უთხრეს, რომ აღნიშნული საკითხი თბილისის საკრებულოს დონეზე განიხილება.

### გიგი უგულავამ ახალი მრავალფუნქციური სავაჭრო კომპლექსი გახსნა

თბილისის მერი გიგი უგულავა ვარკეთილის მეტროსთან ახალი მრავალფუნქციური სავაჭრო კომპლექს "ფენიქსის" გახსნას დაესწრო. ცენტრი ორი ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული შენობისგან შედგება. ობიექტში საოჯახო ტექნიკის, ტანსაცმლის, საიუველირო, წიგნებისა და სხვადასხვა სახეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის მაღაზიები და "ვითიბი" ბანკის ფილიალი განთავსდა.

სავაჭრო ობიექტში ამჟამად 250-მდე ადამიანია დასაქმებული. თანამშრომლების ნაწილი მერიის დასაქმების მსურველთა ბაზიდან შეირჩა. მერიის ინფორმაციით, ცენტრის სრულად ამუშავების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება.

დასაქმების მსურველთა ბაზა თბილისის მერიაში მეორე წელია, ფუნქციონირებს და ქალაქის 30 მუნიციპალიტეტში დასაქმების მსურველთა მონაცემებს აერთიანებს.

## ყველაზე არაკორუმპირებული ნატო-ს წევრობის მსურველთა შორის

პირველი გვერდიდან

კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების 77 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები კორუფციის წინააღდეგ ეფექტურია.

შეკითხვას, გადაუხდიათ თუ არა ქრთამი ბოლო 12 თვის განმავლობაში, გამოკითხულთა მხოლოდ 3-მა პროცენტმა უპასუხა დადებითად, რაც მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. რესპონდენტთა 78 მიიჩნევს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონე "შემცირდა" ან "ძალიან შემცირდა". 9 პროცენტი თვლის, რომ გაიზარდა. ყველაზე სანდო ინსტიტუტი, რომელსაც კორუფციასთან ბრძოლა შეუძლია, გამოკითხული რესპოდენტების 55 პროცენტის შეფასებით, მთავრობაა.

როგორც კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე აღინიშნა, კორუფციის წინაალმდეგ მებრძოლ ქვეყანათა შორის, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად, საქართველო 2010 წელს, "საერთაშორისო გამჭვირვალობის" "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის შედეგების თანახმად დაასახელეს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის განმარტებით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ კვლევის დროს გამოყენებულია ევროპული მეთოდოლოგია. მისივე თქმით, ბოლო კვლევა ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა, რომლის მიხედვითაც, საქართველო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანაა ევროკავშირსა და ევროპის ქვეყნებს შორის.

კვლევის პრეზენტაციას საერთაშორისო ორგანიზაციები და აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის შეფასებით, საქართველომ შეძლო კორუფციის დამარცხება და ქვეყანაში არის მაღალი დემოკრატიის ხარისხი. მანვე აღნიშნა, რომ საქართველო არის ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანა მსოფლიოში.

**"კვლევების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დემოკრატიის დონე განვსაზღვროთ. ვთვლით, რომ ის მაღალია, მაგრამ განვითარება სჭირდება. საქართველო წარმატებით ებრძვის კორუფციას. მას საუკეთესო შედეგები აქვს ევროპის ქვეყნებს შორის, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვისა, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც, რადგან საქართველო მათთვის კარგი მაგალითია,"** - განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

## შეიქმნა პატრიარქის საიუბილეო კომისია

პარლამენტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის დაბადების 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო კომისიის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძე აღნიშნა, რომ კომისიის მუშაობის მიზანია, ქართული სახელმწიფო და ქართველი საზოგადოება ღირსეულად შეხვდეს და აღნიშნოს ის უმნიშვნელოვანესი თარიღი, რასაც მისი უწმინდესობის აღსაყდრების 35 წლისთავი და დაბადებიდან 80 წლისთავი წარმოადგენს. **"მისი უწმინდესობა ჩვენი ერის სულიერი მამაა. მის მოღვაწეობასა და საქმინობას საქართველოსთვის, ქართული სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ შეიქმნა კომისია, სადაც სახელმწიფო და საპატრიარქო ყველა იმ ღონისძიების შესახებ იმსჯელებენ, რომლებიც მთელ წელზე იქნება გაწერილი. ეს სრულიად საქართველოს საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნის საშუალებას მისცემს,"** - ამბობს დავით ბაქრაძე.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ აღნიშნა, რომ წელს პატრიარქის სამმაგი იუბილეა - აღსაყდრებიდან 35 წელი, სასულიერო ცხოვრების დაწყებიდან 50 წელი და დაბადებიდან 80 წელი სრულდება. **"ამიტომ, სამმაგი იუბილეს ჩატარება სახელმწიფომ და საპატრიარქომ ერთობლივი ძალებით გადაწყვიტეს. ამ საკითხზე პირველი სხდომა გაიმართა,"** - ამბობს ნიკა რურუა.

მინისტრი ღონისძიების დეტალების შესახებაც საუბრობს. **"თარიღი ღირსეულად აღნიშვნას იმსახურებს. პატრიარქის პირადი არქივიდან ქადაგებები და ეპისტოლეები გამოიცემა, მისი ნაწარმოებები კი სხვადასხვა ფორმებით შესრულდება,"** - ამბობს რურუა.

რურუას ინფორმაციით, კომისია 10 დღეში ერთხელ შეიკრიბება.

სასულიერო პირებთან ერთად, შეხვედრის მონაწილეებს შორის იყვნენ თბილისის მერი გიგი უგულავა და ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე.

***საკუთარი ინფორმაცია***

## ცესკო მენეჯმენტის შესაძლებლობების გაზრდაზე მუშაობს

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ თანამშრომლებს, რომლებმაც მრავალპარტიული დემოკრატიისთვის ნიდერლანდების ინსტიტუტის (NIMD) ფინანსური მხარდაჭერით ტრენინგი გაიარეს, სერტიფიკატები გადაეცათ. დეპარტამენტების და განყოფილებების უფროსებს სწავლება მართვის აკადემიამ ჩაუტარათ. ტრენინგი 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კომისიის თანამშრომლებმა პროექტის მართვა, მართვის საფუძვლები და მოლაპარაკებების ტექნოლოგიები შეისწავლეს.

ცესკო-ს შენობაში გამართულ ოფიციალურ ცერემონიაზე სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები მონაწილეებს ცესკო-ს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა, ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა საქართველოში პიტერ იან ლანგენბერგმა, მართვის აკადემიისა და NIMD-ს ხელმძღვანელმა პირებმა გადასცეს.

როგორც ზურაბ ხარატიშვილმა "24 საათთან" აღნიშნა, ასეთი ტიპის ტრენინგები მენეჯმენტის შესაძლებლობებს ზრდის. მისი თქმით, მომავალი წლიდან ცესკო პროექტების მართვის სისტემაზე გადავა. "საარჩევნო ციკლიც ერთი დიდი პროექტია," - აღნიშნავს ზურაბ ხარატიშვილი.

***საკუთარი ინფორმაცია***

## ვარკეთილში "ვითიბი ბანკის" ახალი ფილიალი გაიხსნა

"ვითიბი ბანკის" ფილიალი უკვე ვარკეთილში ფუნქციონირებს. ბანკის მსხვილი წარმომადგენლობა გუშინ გაიხსნა. ფილიალი ვარკეთილის მეტროსთან აშენებულ ახალ ბიზნესცენტრში მდებარეობს. ბანკი და ბიზნესცენტრი თბილისის მერმა გიგი უგულავამ გახსნა.

2012 წლის დასაწყისიდან დღემდე "ვითიბი ბანკმა" სამი ახალი ფილიალი გახსნა. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ახალი ფილიალის გახსნაა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ ახალ ფილიალებში ბანკის კლიენტებისთვის უზრუნველყოფილია მაქსიმალური კომფორტი და მომსახურების მაღალი ხარისხი... "ვითიბი ბანკის" ვარკეთილის ფილიალში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საბანკო მომსახურების სრული სპექტრის მიღება შეუძლიათ. იპოთეკურ, სამომხმარებლო, ავტო და სხვა ტიპის სესხებთან ერთად ახალი ფილიალი მომხმარებლებს სალომბარდე, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებულ მომსახურებას სთავაზობს. **"ვითიბი ბანკი" აქტიურად ასტიმულირებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას და ფიზიკური პირების მომსახურებას. ქსელის გაზრდა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ მიმართულებით ბანკის განვითარებასა და წინსვლას. ვარკეთილის ფილიალი არის სამომხმარებლო ბაზარზე ჩვენი გააქტიურების და გაძლიერების სტრატეგიის ნაწილი. დარწმუნებულები ვართ, რომ ახალი წერტილი ვარკეთილში წარმატებულად იმუშავებს,"** - ამბობს "ვითიბი ბანკის" გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე.

"ვითიბი ბანკი" თბილისსა და რეგიონებში ფილიალების ქსელის გაფართოებას აქტიურად განაგრძობს. დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით ბანკს 20 ფილიალი აქვს. უახლოეს მომავალში "ვითიბი ბანკის" ხელმძღვანელობა ახალი ფილიალის გახსნას გლდანის რაიონში გეგმავს. დამატებითი ფილიალები გაიხსნება ასევე, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში.

"ვითიბი ბანკს" ქსელის გაფართოების 3-წლიანი გეგმა აქვს მომზადებული, რომლის განხორციელებაც გასულ წელს დაიწყო. ამ გეგმის ფარგლებში, 2011-2013 წლებში ქვეყნის მასშტაბით "ვითიბი ბანკის" 30 ახალი ფილიალი გაიხსნება.

რაც შეეხება ახალ სავაჭრო ცენტრს, ისანი-სამგორის რაიონში ვარკეთილის მეტროსთან აგებული მრავალფუნქციური სავაჭრო კომპლექსი "ფენიქსი" ორი ერთმანეთისგან ფუნქციონალურად დაკავშირებული შენობისგან შედგება. ერთ ნაწილში "ვითიბი ბანკის" ფილიალია განთავსებული, მეორეში კი - საოჯახო ტექნიკის, ტანსაცმლის, საიუველირო, წიგნების და სხვადასხვა სახეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის მაღაზიები.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ეუთო საქართველოში დაბრუნებას ცდილობს

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში ეუთო-ს ყოფილი მისიის ვალდებულების გათვალისწინებით, კონფლიქტების და დაძაბულობის დარეგულირებისთვის აუცილებელია თანამშრომლობა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებთან და ქვეყნის ტერიტორიაზე. აქცენტს ვაკეთებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე მის საერთაშორისოდ და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილ საზღვრებში. შეშფოთებულნი ვართ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარული მდგომარეობით, როგორც საქართველოში, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთსა (საქართველო) და სამხრეთ ოსეთში (საქართველო) და ასევე მათი უფლების არაღიარებით, დაუბრუნდნენ საცხოვრებელ ადგილებს,"** - ნათქვამია რეზოლუციის პროექტში. ავტორები მიესალმებიან საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას, მათ შორის 2010 წლის 30 მაისს გამართულ ადგილობრივ არჩევნებს, "რომელიც, ძირითადად, შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს."

**"მივესალმებით საკონსტიტუციო რეფორმას და არჩევნების რეფორმირების პროცესს, რომელიც ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას გულისხმობს და მიმართულია 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველყოფისკენ,"** - ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მხარეებს მოუწოდებს, დაიცვან საერთაშორისო სამართლის პრინციპები, სრულად შეასრულონ ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, გაზარდონ ჟენევის მოლაპარაკებების ეფექტურობა, როგორც პროცესისა, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ მექანიზმს გაჭიანურებული კონფლიქტის დარეგულირებისა და კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრისთვის.

**"ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა დაჟინებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასა და პარლამენტს, ასევე აფხაზეთისა (საქართველო) და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) დე ფაქტო მთავრობებს, წინააღმდეგობის გარეშე დაუშვან ევროკავშირის დამკვირვებლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა (საქართველო) და სამხრეთ ოსეთში (საქართველო), როგორც ამას ითვალისწინებს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მოუწოდებს მათ, უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება, მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, ასევე საქართველოსა და აფხაზეთის (საქართველო) და საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) საზოგადოების თანდათან დაახლოება. მოუწოდებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, აღადგინონ ეუთო-ს მისია საქართველოში, როგორც ნდობის გაძლიერების ერთ-ერთი მექანიზმი. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ორგანიზებული იყოს ეუთო-ს რეკომენდაციებისა და ვალდებულებების შესაბამისად,"** - ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შეფასებით, ეუთო-ს რეზოლუციის პროექტი კიდევ ერთხელ ადასტურებს 55 ქვეყნის პარლამენტების პოზიციას, რომ რუსეთი აგრესორია და ოკუპაცია უნდა შეწყვიტოს.

როგორც დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პროექტი, რომელსაც კენჭი ეყრება ეუთო-ში, ცალსახად დადებითია. მისი თქმით, დოკუმენტში საუბარია ოკუპირებული ტერიტორიებისა და რუსეთის მხრიდან აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ, ასევე ცალკეა გამოყოფილი დევნილების დაბრუნების საკითხიც.

**"ყველაფერი ეს კი სამომავლოდ უკავშირდება საქართველოს გამთლიანების პერსპექტივას,"** - განაცხადა ბაქრაძემ და აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში შეძლო, მყარად ჩამოეყალიბებინა საერთაშორისო აზრი, რომ რუსეთი აგრესორია.

**"საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო პოლიტიკაში იყოს მყარი განწყობა იმისა, რომ ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, რუსეთის მხრიდან უკანონო ოკუპაციაა. რეზოლუციის მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მას მყისიერად არ შეასრულებს. თუმცა, მუდმივად მსოფლიო აზრის წინააღმდეგ სვლა წარმოუდგენელია და ამას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გააკეთებს, მათ შორის რუსეთიც. რუსეთს, ადრე თუ გვიან, მსოფლიო პოლიტიკური აზრის გათვალისწინება მოუწევს,"** - დასძინა ბაქრაძემ.

# ამომრჩეველთა საერთო სიიდან 16 000 გარდაცვლილი ამოიღეს

პირველი გვერდიდან

"მიწერილთა" გარდა, მამუკა კაციტაძე სიაში არსებული შიდა მიგრანტების შესახებაც საუბრობს, რომლებიც ერთ მისამართზე არიან დარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად სხვაგან ცხოვრობენ - ასეთი ამომრჩევლები სიის 18-20 პროცენტს შეადგენენ. როგორც მამუკა კაციტაძე ამბობს, საერთო სიაში შეყვანილი ამომრჩევლების 3-4 პროცენტთან კომისიამ კონტაქტი ვერ დაამყარა. კაციტაძის თქმით, ამის მიზეზი არაზუსტი მისამართი, დაკეტილი ბინა და მსგავსი შემთხვევები იყო. ხოლო, ამომრჩეველთა 2-მა პროცენტმა კომისიის რეგისტრატორებს ინტერვიუზე უარი უთხრა.

მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ კომისიას კიდევ 27 000 ამომრჩეველი დარჩა გადასამოწმებელი. მათ შორისაა საჩხერის რაიონის ოთხი სოფელი, რომელთაც საოკუპაციო ჯარები აკონტროლებენ და ამიტომ ვერ მოხერხდა მათი გადამოწმება. რეგისტრაცია ჯერჯერობით არ გააჩნია გორის რაიონის სოფელს და გარდაბანში იორმუღალოს მონაკვეთს, თბილისში გადასამოწმებელი დარჩა მედეა ჩახავას 34 ნომერი - ისინი მას შემდეგ დაამისამართეს, რაც ამ უბანზე "კარდაკარი" უკვე დასრულებული იყო.

სიების დაზუსტების კომისიის გარდა, პარალელურ "კარდაკარს" "ქართული ოცნება" და "ამომრჩეველთა ლიგა" ატარებენ. მამუკა კაციტაძემ მათ განცხადებებსაც ეხმიანება. კაციტაძის თქმით, ქუცნაშვილი ამბობს, თითქოს კომისიამ თითოეულ საარჩევნო უბანში 1500 ამომრჩეველზე მეტი ჩაწერა. **"ეს ან შეგნებული პოლიტიკური კამპანიაა, ან, უკეთეს შემთხვევაში, დაბალკვალიფიციურობის შედეგი, რაც განსაკუთრებით გასაკვირია იმ პირისგან, რომელსაც ერთ-ერთი პოლიტიკური წარმონაქმნის პირველ იურისტად მოაქვს თავი,"** - ამბობს მამუკა კაციტაძე ზაქარია ქუცნაშვილის შესახებ.

კაციტაძის განმარტებით, საარჩევნო უბნის ჩამოყალიბების უფლება მხოლოდ ცესკო-ს გააჩნია, კომისიამ კი, "კარდაკარის" დაწყების წინ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, დაყო ამომრჩევლები სექტორებად და არა უბნებად. **"თითოეულ სექტორში, შესაძლოა, 1500 ამომრჩეველზე მეტი იყოს შეყვანილი, რასაც საარჩევნო უბანთან არანაირი კავშირი არა აქვს,"** - შენიშნა მამუკა კაციტაძემ.

მისივე თქმით, კომისიის მიერ გადამოწმებულ სიას ჯერ დღის სინათლე არ უნახავს და "გაუგებარია, "ამომრჩეველთა ლიგა" რომელ სიებში აღმოჩენილ უზუსტობებზე საუბრობს."

კომისიის თავმჯდომარე მიმართავს პარალელური "კარდაკარის" ორგანიზატორებს, რომ თუ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის მიერ აღმოჩენილის გარდა, სხვა უზუსტობებს წააწყდებიან, ასეთი ფაქტები კოსმისიას 15 ივლისამდე წარუდგინონ და ის აუცილებლად გაითვალისწინებს. როგორც კაციტაძე დასძენს, უზუსტობების აღმოფხვრის საშუალებას კანონმდებლობა 15 ივლისის შემდეგაც იძლევა.

# აფხაზები ენგურზე გამშვები პუნქტების რაოდენობას ზრდიან

სოხუმში, აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ სეპარატისტები საქართველოსა და აფხაზეთს შორის მდინარე ენგურზე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვარზე დამატებით ხუთი გამშვები პუნქტის განლაგებას გეგმავენ. **"იმის ლეგალიზება უნდა მოხდეს, რაც უკვე არსებობს. კონტრაბანდული საქონლის საზღვარზე გადატანის აღსაკვეთად საჭიროა, დამატებითი საგუშაგოები გაიხსნას,"** -განაცხადა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა.

საზღვარზე დამატებითი პუნქტების განლაგების შესახებ კონკრეტულ წინადადებები შესაბამისმა სამსახურებმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს რამდენიმე დღეში უნდა წარუდგინონ.

ოკუპირებული რეგიონიდან ადმინისტრაციული საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეებს საშვი სჭირდებათ, რომელიც 100 რუსული რუბლი ღირს და გალის აფხაზურ მილიციაში გაიცემა.

გარდა იმისა, რომ ენგურის ხიდზე აფხაზმა სეპარატისტებმა საშვები დააწესეს, თვით აფხაზი მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთის პასპორტი შემოიღეს. ამ პასპორტებით აფხაზები რუსეთში, ნაურუში, ნიკარაგუასა და ვენესუელაში გადაადგილდებიან.

*საკუთარი ინფორმაცია*

## გორის გამგეობამ "ქართულ ოცნებას" კულტურის სახლთან აქციის გამართვის ნება დართო

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კოალიცია "ქართულ ოცნებას" 15 ივლისს გორის კულტურის სახლთან აქციის გამართვის ნება დართო. ამის შესახებ "ინტერპესნიუსი" "ქართული ოცნების" გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელ თამაზ შიოშვილის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

"ქართულ ოცნებას" თავდაპირველად აქციის გამართვა გორის ცენტრალურ მოედანზე სურდა, მაგრამ ქალაქის გამგეობისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ კოალიციამ ქალაქის ხელმძღვანელობას მეორე განცხადებით მიმართა და აქციის გამართვა კომბინატის ტერიტორიაზე, კულტურის სახლთან მოითხოვა.

## სტივენ რეიკინი: "საქართველო თანმიმდევრულ რეფორმებს ატარებს"

"საქართველო თანმიმდევრულ რეფორმებს ატარებს როგორც სასამართლო, ისე საკანონმდებლო სფეროში," - ამის შესახებ ჟურნალისტებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს მისიის დირექტორმა სტივენ რეიკინმა განუცხადა.

ჰეიკინი თბილისში ესწრება ფორუმს, რომელიც დემოკრატიული და გამჭვირვალე სასამართლო ადმინისტრირების ხელშეწყობას ეხება. ფორუმში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. სტივენ რეიკინის განცხადებით, ამ მიმართულებით საქართველოს ძალიან დიდი მიღწევები აქვს, "მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი".

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კი აღნიშნა, რომ არასამთავრობოთა კოალიციასთან შეხვედრები გასულ წელს დაიწყეს და ამან კარგი შედეგი გამოიღო. მისი თქმით, მათთან ერთად რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება შემუშავდა, რომელიც პარლამენტმა მიიღო.

## "ლეიბორისტები" პროდუქტების სიძვირის მიზეზად პრეზიდენტის გარემოცვის ინტერესებს ასახელებენ

"მაღაზიებში ცეცხლის ფასი აქვს ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სასურსათო პროდუქტს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სააკაშვილის ლობირებით ფასებს აკონტროლებენ კეზერაშვილის, ჩოჩელის, გოგელიასა და გივი თარგამაძის მონოპოლიური სურსათის შემომტანი და მწარმოებელი კომპანიები," - განაცხადა "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გუშინ მარჯანიშვილზე გამართულ აქცია-ბრიფინგზე.

მისივე თქმით, "ლეიბორისტების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტია ქვეყანაში დაშლის სააკაშვილის ხელოვნურად შექმნილ მონოპოლიებს და სასიცოცხლო პროდუქტებზე დაბალი ზღვრული ფასები დაწესდება.

## ამნისტიით 4799 მოქალაქემ ისარგებლა

პირადი მონაცემების გაყალბებისთვის გამოცხადებული ამნისტიით 4799 მოქალაქემ ისარგებლა, აქედან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ონლაინ რეჟიმში ამნისტიით სარგებლობის მსურველი საქართველოს 163 მოქალაქის განცხადება დაკმაყოფილდა. მათ დოკუმენტები საფასურის გადახდის გარეშე გაუსწორდათ.

სამოქალაქო რეესტრის ცნობით, მოქალაქეებისათვის, რომელთაც სხავადასხვა დროს გააყალბეს პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები (პასპორტი, პირადობის მოწმობა და სხვა) ამნისტია 2011 წლის ივნისში გამოცხადდა. "ამნისტიის შესახებ" კანონის მოქმედების პერიოდში საიდენტიფიკაციო მონაცემების გაყალბების ყველაზე გავრცელებული ფაქტები გამოიკვეთა, ეს არის: მოქალაქის დაბადების თარიღის გადაკეთება, სახელის, გვარის თვითნებურად შეცვლა, პასპორტის ვადის გაგრძელების შტამპის გაყალბება, გარდაცვალების მოწმობის გაყალბება და სხვა. "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც 2012 წლის 31 დეკემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში განაცხადებენ მათ მიერ დოკუმენტების გაყალბების თაობაზე.

კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც გარკვეული კატეგორიის დანაშაულები - დაბადების თარიღის გადაკეთება, სახელის, გვარის თვითნებურად შეცვლა, პასპორტის ვადის გაგრძელების შტამპის გაყალბება და ა.შ. ჩაიდინეს 2007 წლის 1 იანვრამდე. აგრეთვე, პირებზე, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულების 2007 წლის 1 იანვრამდე ჩადენის საფუძველზე გაყალბებული საიდენტიფიკაციო მონაცემებით გაცემული დოკუმენტები გამოიყენეს ამ კანონის ამოქმედებამდე, თუ ამ დანაშაულებთან დაკავშირებით არ არის დაწყებული გამოძიება.

ამნისტიის მოთხოვნით განცხადების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ინტერნეტის საშუალებით. ამ შემთხვევაში მოქალაქე უნდა დაუკავშირდეს დისტანციური მომსახურების სამსახურს, ნომერზე (995 32) 2 40 10 10 ან ისარგებლონ ვებგვერდით: www.passport.gov.ge http://intpass.cra.ge/. თუ ამნისტიის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლების მიერ გამოვლინდება პირადი მონაცემების გაყალბების ფაქტი, რომელზეც მოქალაქეს თავად არ ექნება ნებაყოფლობით გაცხადებული, ამნისტიის ვადის ამოწურვის შემდეგ, მისი სისხლი სსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი კვლავ დაისმება.

# ასადი უნდა წავიდეს! - პარიზის კონფერენცია

ხათუნა ბაბიევი

პარიზში სირიის მეგობარი ქვეყნების შეხვედრა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, რამდენიმესაათიანი მსჯელობისას მკაფიოდ ითქვა, რომ ასადი უნდა წავიდეს, ხოლო რუსეთსა და ჩინეთზე საჭიროა ზეწოლა სირიის მმართველი რეჟიმის მხარდაჭერაზე უარის სათქმელად. კონფერენციას სირიის ოპოზიციამ ნაკლებად ქმედითი, მაგრამ უხვსიტყვიანი უწოდა. პარიზში კონსულტაციებს არ დაესწრნენ ბაშარ ალ-ასადის მოკავშირე რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლები, სულ კი შეხვედრაში 100-მეტი დელეგაცია მონაწილეობდა.

**"ერთი რამ ცხადია, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი აღარ გაგრძელდება, მისი დაცემა და ქვეყანაში დემოკრატიული ძალების მოსვლა გარდაუვალია. ბაშარ ასადის პროპაგანდის გასაფანტად გამოძიების კარგი მექანიზმია შემუშავებული. ჩვენი მიზანია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ვუბიძგოთ, აიღოს პასუხისმგებლობა ახალ გეგმაზე, რომელიც სირიის კრიზისს დაასრულებს,"** - განაცხადა შეხვედრის მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტმა. ფრანსუა ოლანდის კვალდაკვალ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან წასვლის საჭიროებაზე კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა. **"არც ერთი ჩვენგანი კმაყოფილი არ არის იმით, რაც სირიაში ხდება. ჩვენ უშიშროების საბჭოს უნდა მოვთხოვოთ რეზოლუციის მიღება სირიის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მეშვიდე მუხლის ფარგლებში. რაც შეეხება რუსეთსა და ჩინეთს, ასადის რეჟიმის მხარდაჭერის გამო მათ სერიოზული საფასურის გადახდა მოუწევთ,"** - აღნიშნა ჰილარი კლინტონმა შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

სირიის კრიზისის უახლოეს ხანში დასამთავრებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ემხრობიან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც. **"ეს სირიის მეგობარი ქვეყნების ყველაზე მასშტაბური შეხვედრაა. სირიაში გარდამავალი მთავრობის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დიდი ბრიტანეთი მხარს დაუჭერს უახლოეს კვირებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას,"** - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა უილიამ ჰეიგმა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი სირიელი ხალხისთვის ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების გაწევის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. **"ჩვენ ყველანი ერთად სირიელ ხალხს 8.5 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტით ჰუმანიტარულ დახმარებას აღმოვუჩენთ, რაშიც მედიკამენტებითა და საკვებით უზრუნველყოფაც იგულისხმება. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ პარტნიორებთან ასადის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური აღორძინების გეგმებზე. ეს ყველაფერი შეთანხმებულია სირიის ნაციონალურ საბჭოსთან. ჩვენ ორი მიზანი გვაქვს: პირველ რიგში, დავეხმაროთ სირიელ ხალხს და მეორე, თავიდან ავიცილოთ რეგიონში სამხედრო კონფლიქტი,"** - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ.

პარიზის შეხვედრამდე კი საიდუმლო კორესპონდენციაზე მომუშავე ვებგვერდმა ახალი სკანდალური მასალა გამოაქვეყნა. "ვიკილიქსმა" საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა 2 მილიონ 400 ათასი წერილი. მიმოწერას სირიის მმართველი ძალა 2006 წლიდან აწარმოებდა.



*მანაფ თალასი*

რაც შეეხება თავად სირიაში მიმდინარე მოვლენებს, სხვადასხვა ქალაქში სროლა ამ დრომდე არ წყდება, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს კი თვალსა და ხელს შუა ეცლება უახლოესი გარემოცვის წევრები. ამჯერად გაქცეულ სამხედრო მაღალჩინოსანთა არმიას კიდევ ერთი გენერალი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ვაჟი და დღემდე სირიის რესპუბლიკური გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც შეემატა. გენერალ-ლეიტენანტმა მანაფ თალასმა პოლიტიკური თავშესაფარი, კოლეგების მსგავსად, თურქეთს სთხოვა. სირიის ხელისუფლებაში თავს იმით იმშვიდებენ, რომ გენერალს საიდუმლო მასალებზე ხელი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არ მიუწვდებოდა. თურქეთში კი 22 ივნისს ჩამოგდებული სადაზვერვო თვითმფრინავის მფრინავებს მიაგეს უკანასკნელი პატივი. პილოტების ცხედრები, თვითმფრინავის ნარჩენებთან ერთად, ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე ორი დღის წინ აღმოაჩინეს. მალათიაში გამართულ სამგლოვიარო ცერემონიას, ოფიციალურ პირებთან ერთად, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანიც დაესწრო.

თურქულმა მედიამ კი ხმელთაშუა ზღვაში ასადის რეჟიმზე ზეწოლისთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხომალდების გამოჩენაზე გაავრცელა ინფორმაცია. შემადგენლობა ფრანგული, გერმანული და თურქული ფრეგატებითაა დაკომპლექტებული. ხომალდსაწინააღმდეგო და ანტისაზენიტო რაკეტებით აღჭურვილი გემების გაგზავნის მიზანი სირიის სანაპიროებთან ანტიტერორისტული მისიის შესრულებაა.

# არგენტინის ყოფილი დიქტატორები ბავშვების გატაცებისთვის გაასამართლეს

სამხედრო ხუნტის ორი ყოფილი მეთაური, რომელიც არგენტინას 1976-დან 1983 წლამდე მართავდა, ახალშობილების სისტემური გატაცებებისთვის დამნაშავედ სცნეს. სასამართლომ, რომელიც ბუენოს-აირესში ჩატარდა, 86 წლის ყოფილ გენერალს (დე ფაქტო პრეზიდენტს) ხორხე ვიდელას - 50 წლით, ხოლო არგენტინის ყოფილ პრეზიდენტს რეინალდო ბინიონეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბრალდებამ შეძლო დაესაბუთებინა ახალშობილების გატაცებების "სისტემური გეგმის" არსებობა. პოლიტიკური ოპონენტებისა და ოპოზიციის აქტივისტების პატარა ბავშვებს იტაცებდნენ და უკვე სხვა სახელებით აშვილებდნენ ხელისუფლების ერთგულ ოჯახებში.

გამოძიების მასალების მიხედვით, ისინი დედებს ართმევდნენ, მათ შორის, რამდენიმე დღის დაბადებულ ბავშვებს, თავად ქალებს კი ძირითად შემთხვევაში კლავდნენ, ზოგჯერ თვითმფრინავებიდან ყრიდნენ ზღვაში. გატაცებული ბავშვების რაოდენობა დაახლოებით 400-ს შეადგენს. გამოძიების ფარგლებში 105 გატაცებული ბავშვის ვინაობაა დასაზუსტებული.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ბინიონე და ვიდელა სასჯელს იხდიან. 2010 წელს ორივე გაასამართლეს მკვლელობების, წამებისა და ადამიანთა გატაცებების ბრალდებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვიდელას სამუდამო პატიმრობა, ხოლო ბინიონეს - 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლოს გადაწყვეტილება იყო კულმინაცია იმ პროცესისა, რომელიც 2011 წლის თებერვალში დაიწყო. სასამართლოს წინაშე წარდგა 11 ადამიანი, რომელთა უმეტესობა ყოფილი პოლიციელები და სამხედროები იყვნენ. თერთმეტიდან მხოლოდ ორი გაამართლეს. გარდა ვიდელასი და ბინიონესი, კიდევ შვიდი ადამიანი სცნეს დამნაშავეებად. მათ ბრალად ედებათ "სისტემური გატაცებები, დაკავებები და 10 წლამდე არასრულწლოვანების გადამალვა."

ერთ-ერთმა დაზარალებულმა მაკარენა გელმანმა სასამართლოს გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა. "მათი სახის დანახვა, ვისაც ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება - ეს იმის ნიშანია, რომ მართლმსაჯულება წინ მიდის," - განაცხადა მან. გელმანი გაიზარდა მეზობელ ურუგვაიში, პოლიციელის ოჯახში. მისი ნამდვილი მშობლები არგენტინელმა სამხედროებმა 1976 წელს გაიტაცეს. მისი დედის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის გაგზავნილი იყო საიდუმლო ციხეში ურუგვაიში, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა. მამის სხეულის ნარჩენები კი მოგვიანებით იპოვეს მდინარეში გადაგდებულ ცემენტის კასრში.



*ხორხე ვიდელა და რეინალდო ბინიონე სასამართლო პროცესზე*

100-ზე მეტმა ბავშვმა საკუთარი ბიოლოგიური ნათესავების პოვნა შეძლო. გატაცებული ბავშვების რეალური რიცხვი 400-ზე მეტია, როგორც ამას მათი ინტერესების დამცველი ასოციაცია "პლასა-დე-მაიოს ბებიები" აცხადებენ. თუმცა ბავშვების გარკვეულ ნაწილს ურჩევნია, საკუთარი წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდეს, მით უმეტეს, თუ ეს უკანონო ქმედებაში დაადანაშაულებს მათ გამზრდელ მშობლებს.

1976 წელს გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ სამხედროები, ვიდელას მეთაურობით, რის შემდეგაც მათ დაითხოვეს პარლამენტი, შემოიღეს კომენდანტის საათი, შეჩერდა პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირის საქმიანობა, დაიწყო რეპრესიები და საბოლოოდ ამან "ბინძური ომის" სახელწოდება მიიღო. 1983 წელს გენერალ-მაიორმა რეინალდო ბინიონემ (უკვე პრეზიდენტმა) ძალაუფლება სამოქალაქო ხელისუფლებას - არჩეულ პრეზიდენტს რაულ ალფონსინს გადასცა. ამის შემდეგ არგენტინაში მიიღეს კანონი, რომელიც სამხედროებს დიქტატურის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა.

ხელისუფლებაში ნესტორ კირშნერის მოსვლის შემდეგ სიტუაცია არგენტინაში შეიცვალა. ძველი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები მათ არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს, რამაც გზა გაუხსნა სასამართლო პროცესებს ადამიანის უფლებათა დარღვევების ბრალდებით.

ოფიციალური მონაცემებით, სამხედრო დიქტატურის დროს უგზოუკვლოდ 18 ათასი ადამიანი დაიკარგა. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მიხედვით კი, ეს რიცხვი 30 ათასს აღწევს.

# უკრაინის ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს

პირველი გვერდიდან

სპიკერის პირველმა მოადგილემ ადამ მარტინიუკმა კენჭისყრის შემდეგ განაცხადა, რომ "ვლადიმირ ლიტვინს ნდობის ვოტუმის მიღება უნდა მივულოცოთ." ნაკლებად "გაუმართლა" მის მოადგილეს, "ბატკივშჩინას" წარმომადგენელს ნიკოლაი ტომენკოს. მისი გადადგომის საკითხი დღის წესრიგში ჩასვეს, მაგრამ მისცეს დრო "გადასაფიქრებლად." თუ ტომენკო განცხადებას 10 დღის განმავლობაში არ გაიტანს, მას კენჭს უყრიან. თუმცა ამისთვის სპეციალურად რადა არ შეიკრიბება. "რეგიონების პარტიის" ფრაქციის თავმჯდომარემ ალექსანდრ ეფრემოვმა განაცხადა, რომ ივლისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით მოსალოდნელია რიგგარეშე სესიის მოწვევა და ტომენკოს საკითხსაც მაშინ განიხილავენ. ეფრემოვმა ისიც განაცხადა, რომ ვლადიმირ ლიტვინსაც 15 დღის შემდეგ შეუძლია თვითონ წავიდეს, პარლამენტში კენჭისყრის გარეშე. ამ შემთხვევაში ის არა რეგლამენტს, არამედ შრომის კანონმდებლობას უნდა დაეყრდნოს. არდა, ტომენკო მისი საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას და გადადგომის დაკმაყოფილებას ითხოვდა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება კარგად აწონილ-დაწონილი აქვს. ის ამას აკეთებს იმიტომ, რომ უკრაინაში პარლამენტს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს.

სკანდალური კანონის ხელმოწერის საკითხი კვლავ ღიად რჩება. ვლადიმირ ლიტვინი მის ხელმოწერაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ის ამბობს, რომ კანონი მიღებულია დარღვევებით. ამას გარდა, არის ზღვარი, რომელსაც ვერ გადააბიჯებს და ამას არ აკეთებს იმისთვის, რომ ვინმეს თვალში უკეთესად გამოჩნდეს. "მე სახელმწიფო უკრაინის მოქალაქე ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი," - დასძინა ლიტვინმა. მან აგრეთვე წამოაყენა გეგმა, რომლის საშუალებითაც კანონის პარლამენტში დაბრუნება და ხელახლა განხილვა შეიძლება, პრეზიდენტ იანუკოვიჩის ინიციატივით. ცხადია, ოპოზიციის მონაწილეობით და შეტანილ შესწორებებზე არსებითი დებატებით. ამ შემთხვევაში, ლიტვინის აზრით, ყველა შეინარჩუნებს სახეს.

ლიტვინს ჟურნალისტებმა "ფეისბუქის" საშუალებით ჰკითხეს, თუ რატომ მისცეს კანონპროექტს ხმა მისი, "სახალხო პარტიის" საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებმა და შემდეგ თავიანთი ხმები უკან წაიღეს. ლიტვინმა უპასუხა, რომ ეს მისთვის მოულოდნელობა იყო. ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ხმას აძლევდნენ მხოლოდ კანონის კენჭისყრაზე დაყენებას (წესით, სხდომის თავმჯდომარეს სწორედ ეს უნდა გაეკეთებინა, როცა პირველ ცდაზე საჭირო ხმები ვერ მოგროვდა) და არა თვით კანონს. ეტყობა, ლიტვინს და მის ფრაქციას იმედი ჰქონდათ, რომ კანონპროექტი ჩავარდებოდა, "რეგიონების პარტიამ" კი საჭირო ხმები სხვისი პულტების გამოყენებით და, მათ შორის, სახალხო პარტიის ფრაქციის შეცდომაში შეყვანით მოაგროვა. საერთოდ, მაშინ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ოპოზიცია უცბად ვერც გაერკვა, რა ხდებოდა.

უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ამ კანონის მიღება დაგმო უკრაინელების მსოფლიო კონგრესმა და ქვეყნის პრეზიდენტს მოუწოდა, კანონს ხელი არ მოაწეროს. უკრაინული ენის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს პაველ გრიცენკოს აზრითაც, ახალი კანონი არღვევს უკრაინაში სახელმწიფო ენის არსებობის საფუძველს.

ამასობაში კი უკრაინის ქალაქების ქუჩებში აქციები გრძელდება. კიევში, ევროპის მოედანზე, "უკრაინულ სახლთან" ხალხი არ იშლება. აქციაზე მუდმივად არის რამდენიმე ასეული ადამიანი, ხან ათასებიც. შენობის წინ კიბეებზე მიმდინარეობს შიმშილობის აქციაც, რომელშიც 11 დეპუტატი მონაწილეობს. სამართალდამცავებთან პრობლემა იყო მხოლოდ ღამით, როდესაც პოლიცია ცდილობდა, დემონსტრანტებისთვის ბიოტუალეტის დადგმის საშუალება არ მიეცა, თუმცა მათ ეს შეხლა-შემოხლის შემდეგ მაინც მოახერხეს.

ქალაქ ჩერკასკში "კომუნალურმა სამსახურებმა" ტექნიკის გამოყენებით და სპეცრაზმ "ბერკუტის" დახმარებით აიღეს კარვების ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქცია კანონიერი იყო.

გუშინ კიევში, ევროპის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერმა. გაერთიანებული ოპოზიცია "ბატკივშჩინას" საბჭოს თავმჯდომარემ არსენი იაცენიუკმა სრულიად უკრაინული აქციის "უკრაინა იანუკოვიჩის წინააღმდეგ" დაწყების შესახებ გამოაცხადა. მის პარტიას "ცვლილებების ფრონტს" და იულია ტიმოშენკოს "ბატკივშჩინას" ალიანსი აქვთ ჩამოყალიბებული. იაცენიუკის სიტყვებით, აქციის მიზანია რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. მან თქვა, რომ თუ იანუკოვიჩს გადადგომისთვის გამბედაობა არ ეყოფა, მაშინ დემოკრატიული ოპოზიცია ახალ პარლამენტში მას იმპიჩმენტს გამოუცხადებს. მან ემოციურად განაცხადა: "ჩვენ დავიცავით უკრაინული სახლი და ეს სიმბოლურია, რადგან უკრაინული სახლი და იანუკოვიჩი შეუთავსებელია." იაცენიუკი 4 ივლისს ამ შენობაში პრეზიდენტის მიერ დაგეგმილი პრესკონფერენციის ჩაშლას გულისხმობდა.

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი
THE REGIONAL CENTRE FOR RESEARCH AND PROMOTION OF CONSTITUTIONALISM

# სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

# „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე ⟶ შეიმეცნე ⟶ დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.
2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
ზ) გარდაიცვალა;

კონსტიტუციის 54-ე მუხლში საუბარია იმ შემთხვევებზე, რომლებიც იწვევს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. ამ საკითხის წყვეტს პარლამენტი, რომელსაც რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის და განიხილავს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელიც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს საპარლამენტო განხილვისათვის. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი შედის უახლოეს პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტი ვალდებულია დაუყონებლივ განიხილოს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება მიღებული დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ეს დადგენილება ფორმდება კენჭისყრის გარეშე.
პარალამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე მოქალაქეს, რომლის როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა პარლამენტმა.
პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება მისი მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადების შესაბამისად, რომელიც წარედგინება პარლამენტის თავჯდომარეს და შემდგომ გადაეცემა საპროცედურო და წესების კომიტეტს, რომელიც ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც დაედო საფუძვლად განცხადებას და დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. ასეთივე წესით იხილავს საპროცედურო და წესების კომიტეტი იმ შემთხვევების დადგომის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლით.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარესა და თავჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.
2. პარლამენტის თავჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. პარლამენტის თავჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.
4. პარლამენტის თავჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 55-ე მუხლი შეეხება პარლამენტის თავჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევისა და მუშაობის წესს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით პარლამენტის თავჯდომარე აირჩევა პარლამენტის წევრთაგან პირველსავე სესიაზე, თავისი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით.
პარლამენტის თავჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ უმრავლესობას, უმცირესობას, ფრაქციას, რომელიც არის გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში და პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს. სხდომაზე სიტყვის გამოსვლისათვის პარლამენტის თავჯდომარეს ეძლევა 20 წუთი დრო. პარლამენტის თავჯდომარედ არჩეულ იქნება ის კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
აგრეთვე რეგლამენტით დადგენილი წესით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით პარლამენტის წევრთაგან აირჩევა პარლამენტის თავჯდომარის მოადგილეები. თითო მოადგილე აირჩევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან და აჭარის ავტონომირ რესპუბლიკიდან მაჟორიტარული წესით პარლემენტის წევრთაგან.
პარლამენტის თავჯდომარე სხვა ფუნქციებთან ერთად წარმოადგენს საქართველოს პარლემანტს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში. უძღვება პარლამენტის მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარლამენტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობას. თავჯდომარეობს პარლამენტის პლენარულ სხდომებს, იწვევს და თავჯდომარეობს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში ამ უფლებამოსილების განხორციელებას ავალებს თავის ერთ-ერთ მოადგილეს. ბრძანებით განსაზღვრავს თავისი მოადგილეების საქმიანობის სფეროებს და მათ აძლევს ცალკეულ დავალებას.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მელაშვილის. ქN26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

# პრემია "საბას" ფინალისტები



ლიტერატურული კონკურს "საბას" ჟიურიმ წლევანდელი ფინალისტები გამოავლინა. **კონკურსზე წარდგენილი 188 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 42 საუკეთესო მოხვდა.**

ივნისის მიწურულს თიბისი ბანკში "საბას" **რიგით მეათე საზეიმო დაჯილდოება** გაიმართება. "საბას" პრიზებსა და ფულად პრემიებს 2011 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები მიიღებენ.

საპრემიო ფონდი **40 ათას ლარს** შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

"საბა" წელსაც, ტრადიციულად, 9 ნომინაციაში გაიცემა. წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

**წლის საუკეთესო პროზაული კრებული**
1. ზვიად კვარაცხელია, **ყიფლიბანდი** (ინტელექტი)
2. ზურაბ ლეჟავა, **სინაღდე სიყალბისა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. მიხო მოსულიშვილი, **მადლის ქვა** (სიესტა)
4. დავით ქართველიშვილი, **6 სიზმარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. ცირა ყურაშვილი, **ხიზნები კომანის მონასტერთან** (ინტელექტი)
6. ბესო ხვედელიძე, **წითელი** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო პოეტური კრებული**
1. ცირა ბარბაქაძე, **უცხოქალაქი** (უნივერსალი)
2. ელგუჯა მარღია, **ნაბადი** (სვეტი)
3. პაატა შამუგია, **დაუჯდომელი** (სიესტა)
4. ვაჟა ხორნაული, **სიტყვები - სიყვარულის თვალები** (თობალისი)
5. კატო ჯავახიშვილი, **ჭუპრი** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო რომანი**
1. ზაზა ბურჭულაძე, **გასაბერი ანგელოზი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. აკა მორჩილაძე, **Obole** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ირაკლი სამსონაძე, **ლეას-საათი** (ინტელექტი )
4. ზურაბ ქარუმიძე, **მელია ტულეფია: Foxtrot** (სიესტა)

**წლის საუკეთესო დებიუტი**
1. ეკატერინე ახვლედიანი, **ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმი"** (დიოგენე)
2. სალომე ბენიძე, **მოხსენებითი ბარათი** (ინტელექტი)
3. ნინო გუგეშაშვილი, **ფეისკონტროლი** (დიოგენე)
4. ჯაბა ზარქუა, **ვარმშტადური პარადოქსი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. უჩა ზაქაშვილი, **ხელით ნაქსოვი თოჯინები** (საუნჯე)
6. სანდრო ნავერიანი, **არგენტინული პიტბული** (სიესტა)
7. გიორგი ოქროპირიძე, **ლექსები** (გამოიცა ავტორის ხარჯით)
8. სალომე სულაბერიძე, **ჰამალ** (არეტე)
9. ეკატერინე ტოგონიძე, **ანესთეზია** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო თარგმანი**
1. მაია ბადრიძე, **რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", წიგნი II** (დიოგენე)
2. ლევან ბერძენიშვილი, **არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV** (ლოგოს პრესი)
3. ნათელა გავაშელი, **ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"** (ინტელექტი)
4. ქეთი ქანთარია, **ჰენრი დევიდ თოროს "უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"** (სიესტა)
5. ბელა შალვაშვილი, **ფირდოუსის "შაჰნამე"** (ნეკერი)
6. გივი შახნაზარი, **ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"** (ექსკლუზივ პრინტი)
7. ხათუნა ცხადაძე, **უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი"** (დიოგენე)
8. დავით წერედიანი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**წლის საუკეთესო პიესა**
1. გურამ ბათიაშვილი, **მოქმედი პირნი და შემსრულებელნი** (ლიტ. პალიტრა)
2. ლაშა ბუღაძე, **ნავიგატორი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. გურამ მეგრელიშვილი, **ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი** (დიოგენე)

**წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა**
1. რევაზ გაჩეჩილაძე, **ჩემი მეოცე საუკუნე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. ნოდარ გრიგალაშვილი, **თანმდევი სული** (ახალი საქართველო)
4. გიორგი მაისურაძე, **ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. დათო ქარდავა, **ტუალეტში საკითხავი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა**
1. ივანე ამირხანაშვილი, **თავისუფლების პარადოქსები** (ინტელექტი)
2. ლევან ბრეგაძე, **ლიტერატურული (გამო)ძიებანი** (არტანუჯი)
3. მაკო ჯანჯიბუხაშვილი, **მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში** (წყაროსთვალი)

# პირველი რეგიონული კინოფონდი

## აჭარის კულტურის სამინისტრო ფილმმწარმოებლებს იწვევს

ია ვეკუა



ქეთი მაჭავარიანის "მარილივით თეთრი" და დათო ბორჩხაძის "სიზონი" აჭარასა და ბათუმშია გადაღებული. შარშან ზაფხულში თავის ქართულ-რუსულ კინოპროექტზე რეჟისორმა რეზო გიგინეიშვილმაც აქ იმუშავა და სულ ეს იყო - იმის შემდეგ აჭარაში გადასაღები მოედანი ჯერ არავის გაუმართავს. აჭარის კულტურის სამინისტროს ახალი ინიციატივის თანახმად კი, აჭარის რეგიონში საქართველოს პირველი რეგიონული კინოფონდი უნდა დაარსდეს, რაც ქართული ფილმწარმოების მასშტაბს ოდნავ მაინც გაზრდის - სულ მცირე, ადგილობრივ მოსახლეობას კინოსადმი ინტერესს მოუმატებს, ხოლო კინოპროფესიების წარმომადგენლებს გადასაღებ მოედანზე გასვლის შანსს მისცემს.

მსგავსი ტიპის კინოფონდი მრავალ ქვეყანაში არსებობს, ამერიკაშიც კი, სადაც თითქოს ფილმებს მხოლოდ ჰოლივუდში იღებენ. ეს გახლავთ სფეროს დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი გზა, რაც, პირველ რიგში, იმ ადამიანებისთვისაა მნიშვნელოვანი, ვინც რეგიონში ცხოვრობს და არ აქვს კინოსფეროში მუშაობის საშუალება. მაგალითად, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში კინოფაკულტეტიც არსებობს, თუმცა ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იძულებული არიან, უკეთეს შემთხვევაში, ტელევიზიაში დასაქმდნენ, უარეს შემთხვევაში კი კინოსთან ურთიერთობა მხოლოდ მაყურებლის სტატუსით შეინარჩუნონ.

სწორედ არსებული ვითარების გათვალისწინებით მიიღო აჭარის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტრომ რეგიონში კინოფონდის დაარსების გადაწყვეტილება, რაშიც ეროვნული კინოცენტრი აქტიურად უწყობს ხელს. ამ უკანასკნელის პირველადი მისია კი რეჟისორებისა და პროდიუსერების აჭარაში მუშაობით დაინტერესება და ინფორმაციის მიწოდებაა.

დღეს რეგიონში არც კინოგადაღებისთვის აუცილებელი პავილიონები არსებობს, არც ტექნიკური ბაზაა და პროფესიონალური რესურსიც მცირეა. ერთადერთი, რაც აჭარას (ისევე, როგორც სხვა რეგიონებსაც) შეუძლია ფილმმწარმოებლებს შესთავაზოს, მასპინძლობა და მსახიობებია. ამ უკანასკნელთ კი კინოში მუშაობის იმდენად მწირი გამოცდილება აქვთ (პრაქტიკულად, არანაირი), თბილისიდან ჩასულ რეჟისორს სამსახიობო ანსამბლიც და გადამღები ჯგუფიც თავისი ჩაჰყავს.

მეორე მხრივ, აჭარაში კინოგადაღებისთვის ძალიან მომხიბლავი გარემოა - აქ ერთ სივრცეშია მოქცეული ზღვა, მთა, სუბტროპიკული ზონა და სხვა. გარდა ამისა, ბათუმი მრავალფეროვანი ძველი და ახალი არქიტექტურით ხასიათდება, რაც რეჟისორისთვის უდავოდ დიდი კომფორტია. ერთი სიტყვით, ბუნებრივი პირობები იდეალურია, სხვა მხრივ კი ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები. აღნიშნული პროექტი სწორედ ამისკენაა მიმართული. მისი მიზანია რეგიონში კინოწარმოების ხელშეწყობა, კინოინდუსტრიის განვითარება, რეგიონის ცნობადობის გაზრდა, კულტურული ტურიზმის განვითარება, კინოს და სხვა მომიჯნავე პროფესიის ადამიანებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა, რეგიონის მოსახლეობის თანამედროვე კინოპროცესებში ჩართვა და სხვა.

**ირინა სურმანიძე, აჭარის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი:** "ამ პროექტის დანიშნულება არა მხოლოდ კინოპროფესიების ადგილობრივი წარმომადგენლების დასაქმება, არამედ ფილმის გადაღებისთვის მათი სტიმულირებაცაა. ჩვენი ხელოვნების უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულები პრაქტიკულად უფუნქციოდ რჩებიან, არადა, არავინ იცის, მათი სახით ქართული კინო რამდენად მნიშვნელოვან ფიგურას კარგავს."

რას სთავაზობს აჭარის მთავრობა ფილმმწარმოებლებს:

პროგრამის წლიური ბიუჯეტი ამ ეტაპზე 100 ათასი ლარია, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ხოლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გახლავთ. კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ იურიდიულ პირს, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შემთხვევაში კი განაცხადი ქართველი კო-პროდიუსერის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი. წელს განაცხადების მიღების ვადაა 20 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე. ყოველ განაცხადს ინდივიდუალურად განიხილავს სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია. განაცხადს თან უნდა დაერთოს ფილმის პროექტი (აპლიკაციის ფორმა, ავტორების ბიოგრაფიები, ფილმის მოკლე სინოფსისი, ბიუჯეტი, ფინანსური გეგმა), სცენარი, ფილმის წარმოებისთვის საჭირო ან მოპოვებული თანხის დამადასტურებელი ინფორმაცია, აჭარის ტერიტორიაზე დაგეგმილი გადაღებების კალენდარული გრაფიკი და ადგილობრივი დანახარჯის ბიუჯეტი.

თუ პროექტი რეალურად ამუშავდება და სულ მცირე პროგრესი მაინც იქნება, კინოცენტრი აჭარის მაგალითის გადატანას სხვა რეგიონებშიც გეგმავს, რაც არა მხოლოდ კინოხელოვნების, არამედ ზოგადად კულტურული ცხოვრების გააქტიურებასაც ნიშნავს. მანამდე კი ალბათ სჯობს, რეგიონებში პატარა კინოთეატრები მაინც გავხსნათ, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამაც ნახოს, როგორ გამოიყურება დიდ ეკრანზე ის მთები, ზღვა თუ მდელოები, რომლებსაც ყოველდღე საკუთარი ფანჯრებიდან ხედავენ...

# რუსუდან ყენია

2012 წლის გაზაფხულის ბოლო დღეს ამ ქვეყნიდან წავიდა ქართველი ხელოვნების ისტორიკოსების მეორე თაობიდან უკანასკნელი - ქალბატონი რუსუდან ყენია.

"სრულიად საქართველომ" ალბათ არა, ხელოვნებათმცოდნეეებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა, მუზეუმის მუშაკებმა, მხატვრებმა, თბილისის სამხატვრო და სასულიერო აკადემიების კურსდამთავრებულებმა და პედაგოგებმა, მრავალრიცხოვანი მეგობრების ოჯახებმა კი უწყან ქალბატონი რუსუდანის ვინაობა; იციან, რომ ის იყო შუასაუკუნოვანი - მეტადრე XI-XIII საუკუნეების - თუ XIX-XX საუკუნეების ქართული ჭედურობა-ოქრომჭედლობის ცალკეული ნაწარმოებების (მათ შორის - ხახულის კარედის!) თუ მათი ჯგუფების (მაგ., ოთხთავების ყდების და თომანიანთა გვარის ნახელავის) შემსწავლელი; რომ ხელმტკიცე და ფაქიზმა რესტავრატორმა მან თავდაპირველი სახე არაერთ ხატსა თუ მოჭედილობას დაუბრუნა.

ახლობელთა და შორებელთა ისიც მოეხსენებათ, რომ რ. ყენია მარტოოდენ "აკადემიური მეცნიერი". მეცნიერებაშიც და მოვლენების დამოკიდებულების მხრივაც გიორგი ჩუბინაშვილის ერთგული მოწაფე, ის მისთვის მშობლიური ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დიდი და მცირე საქმეებისა და წამოწყებების გულმხურვალე მონაწილე და თაოსანთაგანიც იყო, კომუნისტური პარტიის ადგილობრივი უჯრედის ხელმძღვანელობაც კი ირგუნა, რათა თანამშრომლებისთვის შემაწუხებელი "ღონისძიებები" და თვით "პარტიული ხელმძღვანელობის" რისხვა აერიდებინა) - და ნაცნობ-ნათესავების ჭირი და ლხინი გულთან მიჰქონდა; ყველა ღონეს ხმარობდა ნაშეგირდალთა გზაზე დასაყენებლად - და ჩვენებური მუზეუმების მართვის მოგვარებასა და კოლექციის მდგომარეობის გამოსწორების მცდელობისთვისაც კვირეები და თვეები შეუღევია.

ამიტომაც გადადო ქ-მა რუ-



სუდანმა დაუნანებლად გვერდზე "საკუთარი" საკეთებელი და წლების განმავლობაში აღრიცხავდა ზემო სვანეთის სიძველეებს (ამ მასალის მოწესრიგებაზე იგი - რამდენიმე თვის გამოკლებით - ბოლომდე მუშაობდა - ოქტომბერში კი 88-სა გახდებოდა...); ამიტომაც უზიარებდა ასე უშურველად თეორიულსა და პრაქტიკულ ცოდნას თავის სტუდენტებს და სულაც "უცხო პირებს" - უშუქობისა და გაუთბობლობისაც, დაღლისა და ავადმყოფობის მიუხედავადაც... ამიტომაც უკირკიტებდა საათობით საქართველოს მთიანეთის - უწინარესად, ისევ და ისევ სვანეთის - საჭირბოროტო პრობლემებსა ანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო კომისიისთვის წარდგენილ პროექტებს....

ცხოვრების ორომტრიალში, ზოგჯერ უნებურად წუთისოფლის ფაციფუცში ჩართულს, ქ-ნ რუსუდან მდურვაც, შეხვედრა და საყვედურებიც, იქნებ რამ შეშლია კიდეც... მაგრამ ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, "წყალნი წავლენ და წამოვლენ" ხოლო დარჩება - კეთილი ნაღვაწი.

ამის ნიშანი ხომ არ არის, რუსუდან ყენია საამსოფლო განსასვენებლისკენ სულთმოფენობას, სიონის ტაძრიდან რომ გაასვენეს....

***დიმიტრი თუმანიშვილი***
***გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი***

# გიორგი შერმადინის ფავორიტები

პირველი გვერდიდან



გიორგი შერმადინი და "მაკაბი" B ჯგუფის ფავორიტები არიან

შერმადინი თბილისშია, მძიმე სეზონის შემდეგ ისვენებს, საქართველოს ნაკრების შეკრებისთვის ემზადება. ბარსელონაში ევროლიგის წილისყრა გაიმართა და პირველ ჯგუფურ ეტაპზე "მაკაბი" საინტერესო ჯგუფში მოხვდა - იქვე არიან იტალიური "სიენა", გერმანული "ალბა", ესპანური "უნიკახა", პოლონური "პროკომი" და ფრანგული "შალონი".

გიორგიმ ოთხივე ჯგუფის მოკლე რევიუ გააკეთა.

**შერმადინი A ჯგუფზე** (პანათინაიკოსი (საბერძნეთი), რეალი (ესპანეთი), ხიმკი (რუსეთი), ფენერბახჩე (თურქეთი), ოლიმპია (სლოვენია), კვალიფიკაციის გამარჯვებული): "ფავორიტი "პანათინაიკოსია". გუნდიდან წავიდა ლეგენდარული მწვრთნელი ჟეიკო ობრადოვიჩი, მაგრამ ლიდერები დარჩნენ და "პაო" თავის ხასიათს შეინარჩუნებს. გუნდმა სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა სოფოკლის შორცანიდისს. სერიოზული ტრანსფერია. ალბათ, მეორე ადგილზე "რეალი" გავა და მერე უკვე "ხიმკი" იქნება."

**შერმადინი B ჯგუფზე** (მაკაბი (ისრაელი), სიენა (იტალია), ალბა (გერმანია), უნიკახა (ესპანეთი), პროკომი (პოლონეთი), შალონი (საფრანგეთი): "მაკაბი" ფავორიტია. არა მარტო იმიტომ, რომ დევიდ ბლატი გვყავს. ევროლიგაზე თამაშის გამოცდილებით, უკეთესი მოთამაშეებით, ტრადიციით "მაკაბი" ამ სეზონშიც სერიოზული გუნდი იქნება. როგორც ვიცი, "სიენა" ყველა ლიდერს ვერ შეინარჩუნებს. გუნდიდან წავიდა მთავარი მწვრთნელი პიანიჯანი, რომელიც "ფენერბახჩეში" დაინიშნა. "მაკაბი" საუკეთესო გუნდია და მერე ვინ წამოვა, ვერ გეტყვით. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს. უბრალოდ, როგორც გითხარით, "მაკაბი" ბევრი ფაქტორის გამო იქნება ფავორიტი. პრინციპში, გუნდი ჯერ დაკომპლექტების პროცესშია და გააჩნია, ვის დავიმატებთ, მაგრამ მაინც... შორცანიდისის გარდა, წავიდა კიდევ ერთი ცენტრი, ამერიკელი ჰენდრიქსი. ჯერჯერობით ერთადერთი ნომინალური ცენტრი მე ვარ."

**შერმადინი C ჯგუფზე** (ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), კახა ლაბორალი (ესპანეთი), ეფეს პილზენი (თურქეთი), ჟალგირისი (ლიტვა), მილანი (იტალია), ზაგრები (ხორვატია): "ოლიმპიაკოსი" ჩემპიონია. ცოტა მოულოდნელად გავიდა ფინალში, ცოტა მოულოდნელად მოუგო ცსკა-ს და ისტორიაში შევიდა. თუ არ ვცდები, კლუბმა შეინარჩუნა ძირითადი შემადგენლობა, მაგრამ ბევრი დეტალი არ ვიცი. "კახა ლაბორალი" არ არის ფავორიტი და მაინც კარგ კალათბურთს ითამაშებს. ეს სულ ასეა. "მილანი" კარგი გუნდია. ძალიან კარგი შემადგენლობით და დასალაგებელი სიტუაციით. საინტერესო თამაშები იქნება."

**შერმადინი D ჯგუფზე** (ბარსელონა (ესპანეთი), ცსკა (რუსეთი), პარტიზანი (სერბეთი), ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა), ბამბერგი (გერმანია), ბეშიქთაში (თურქეთი): "ცსკა-ს ევროლიგა შარშან უნდა მოეგო და ძალიან მონდომა იმ ფინალის წაგება. არ ვიცი, წელს რა გეგმები აქვთ. თუ გუნდის მფლობელები ძირითად შემადგენლობას შეინარჩუნებენ, ცსკა ჯგუფის, ტურნირის ფავორიტია. ბუნებრივია, სერიოზული გუნდი ჰყავს "ბარსელონას". "ბეშიქთაში" უმატებს, თურქები კარგ მოთამაშეებში დიდ ფულს იხდიან, მაგრამ არა მგონია, უახლოეს წლებში თურქული კლუბები ცსკა-ს დონეზე ავიდნენ. ჯერ მზად არ არიან."

ბარსელონაში ევროლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა. საინტერესოა D ჯგუფი, სადაც "ბარსელონა" და ცსკა გავლენ ერთმანეთზე. რუსებმა ლეგენდარული იტალიელი მწვრთნელი, ეტორე მესინა დაიბრუნეს და "ბილბაოდან" ამერიკელი ფლეიმეიქერი, აარონ ჯექსონი წამოიყვანეს. "ბარსელონაში" სენიორ ნავარო (F) დარჩა. მიდის ერაზემ ლორბეკი, რომელსაც "სან ანტონიო სპერსი" ელოდება. "მაკაბი", სადაც გიორგი შერმადინი გადავიდა, თავისი ჯგუფის ფავორიტია. დევიდ ბლატის გუნდის მთავარი კონკურენტი "სიენა" იქნება. ბო მაკალებთან ერთად.

**A ჯგუფი:** პანათინაიკოსი (საბერძნეთი), რეალი (ესპანეთი), ხიმკი (რუსეთი), ფენერბახჩე (თურქეთი), ოლიმპია (სლოვენია), კვალიფიკაციის გამარჯვებული.

**B ჯგუფი:** მაკაბი (ისრაელი), სიენა (იტალია), ალბა (გერმანია), უნიკახა (ესპანეთი), პროკომი (პოლონეთი), შალონი (საფრანგეთი).

**C ჯგუფი:** ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), კახა ლაბორალი (ესპანეთი), ეფეს პილზენი (თურქეთი), ჟალგირისი (ლიტვა), მილანი (იტალია), ზაგრები (ხორვატია).

**D ჯგუფი:** ბარსელონა (ესპანეთი), ცსკა (რუსეთი), პარტიზანი (სერბეთი), ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა), ბამბერგი (გერმანია), ბეშიქთაში (თურქეთი).

**შემდეგ ეტაპზე თითო ჯგუფიდან 4 გუნდი გადის**

# ევრომოულოდნელობები



ტორესს "ოქროს ბუცის" მოსაგებად 189 წუთი ეყო

ევრო 2012 დასრულებულია, მაგრამ მასზე საუბარი ალბათ კიდევ გაგრძელდება. ახლა ერთად გადავხედოთ უკრაინა-პოლონეთში გამართული კონტინენტის პირველობის მოულოდნელობათა ტოპ ათეულს.

**1.** ევროპის ჩემპიონატზე "ოქროს ბუცი" (ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ჯილდო) ფერნანდო ტორესმა მოიგო... თუ გავითვალისწინებთ, რომ ვისენტე დელ ბოსკემ "ელ ნინიო" მხოლოდ ბოლო წუთს ჩართო ესპანელთა განაცხადში და ტურნირზე ტორესი უფრო დიდხანს სათადარიგოთა სკამზე იყო, ვიდრე მოედანზე, ეს, ცხადია, მოულოდნელობაა. ესპანელმა ფორვარდმა ევროპის ჩემპიონატზე სულ 189 წუთი გაატარა მინდორზე და არც ერთ მატჩში არ უთამაშია მთელი 90 წუთი.

**2.** არანაკლებ ორიგინალური და მოულოდნელი გამოდგა ყველაზე შედეგიანი ასისტენტების კონკურსი. სამი საგოლე გადაცემით ტურნირის ყველაზე შედეგიანი მეპასის ტიტული მოიგო ანდრეი არშავინმა, რომელმაც საგოლე გადაცემები რუსეთის ნაკრების პირველ ორ მატჩში გააკეთა. დავიდ სილვამ და მესუთ იოზილმა ასევე სამ-სამი შედეგიანი გადაცემა მიითვალეს. პირველმა ტურნირზე ექვსი მატჩი გამართა, მეორემ - ხუთი. არშავინის ანაგრიშზე კი სამი შეხვედრაა.

**3.** ესპანეთის ნაკრებმა ტურნირის წინ დაცვის ლიდერი კარლეს პუიოლი დაკარგა. მიუხედავად ამისა, "ფურია როხამ" ჩემპიონის ტიტული მოიგო. ამასთან, ესპანელთა დაცვა ტურნირზე ყველაზე საიმედო იყო. ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებმა ევროპის პირველობაზე ერთადერთი გოლი გაუშვეს. იკერ კასილასის კარში გოლის გატანის პატივი ვეტერან იტალიელ ფორვარდს ანტონიო დი ნატალეს ერგო. ეს ტურნირის პირველივე მატჩში მოხდა. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სერხიო რამოსის, პიკეს, ალბიოლის და ალბას კვარტეტი ტურნირს ისე დაასრულბდა, რომ კასილასს თავისი კარიდან ბურთის გამოტანა აღარ დასჭირდებოდა.

**4.** ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულმა ანდრეს ინიესტამ გოლი პლუს პასის სისტემით მთელ ჩემპიონატზე ერთადერთი ქულა დააგროვა. მისივე თანაგუნდელმა დავიდ სილვამ ტურნირი 5 ქულით დაასრულა.

**5.** მთელი ტურნირის განმავლობაში პირდაპირ საჯარიმო დარტყმით ერთადერთი გოლი გავიდა. ხორვატებთან მატჩში თავი გამოიჩინა ანდრეა პირლომ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის პირველობაზე ჯარიმებიც ბლომად ინიშნებოდა და საჯარიმოების შესრულების ოსტატებიც მრავლად იყვნენ, ერთი გოლი, ცხადია, მოულოდნელობაა.

**6**. უეფას მიერ გავრცელებული ოფიციალური ინოფორმაციით, ევროპის ჩემპიონატზე არც ერთ მატჩში არ ყოფილა სრული ანშლაგი. ტურნირის ყველა მატჩზე ტრიბუნებზე იყო თავისუფალი ადგილები. კიევის ოლიმპიურ სტადიონზე კი 65 ათას მაყურებელზე მეტი არც ერთ თამაშზე არ მივიდა. არადა, სტადიონი 70 050 გულშემატკივარს იტევს. ფინალს 63 170 გულშემატკივარი დაესწრო. ამ სტადიონზე ამაზე ნაკლები მაყურებელი მხოლოდ შვედეთ-საფრანგეთის მატჩზე მივიდა.

**7**. ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ფეხბურთელებს სულ სამჯერ უჩვენს წითელი ბარათი. ტურნირის სასტარტო მატჩში ესპანელმა არბიტრმა ველასკო კარბალიომ ბერძენი სოკრატის პაპასტოპულოსი და პოლონელი ვიოცეხ შჩესნი გააძევა. დარჩენილ 30 მატჩში კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი იქნა გაძევებული. ეს იყო ირლანდიელი ჯუნეიტ ჩიკირი, რომელიც ირლანდია-იტალიის მატჩში "გააწითლეს".

**8.** ჰოლანდიის ნაკრებმა ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა. "ნარინჯისფერები" ყველაზე ძვირად ღირებული ნაკრებია ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთი ქულაც კი ვერ აიღო. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა საერთო ღირებულება ტურნირის დაწყებამდე 277 მილიონ ევროს უტოლდებოდა.

**9.** ამავე ნაკრების მცველმა ჯეტრო უილიამსმა ბელგიელი ენცო შიფოს რეკორდი მოხსნა. შიფოს დებიუტი ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე 18 წლისა და 115 დღის ასაკში შედგა. ჯეტრო კი ტურნირის პირველ მატჩში ჰოლანდია-დანიას შორის 18 წლის და 93 დღის იყო.

**10.** კოკისპირული წვიმის გამო უკრიანა-საფრანგეთის მატჩი, რომელიც "დონბას არენაზე" იმართებოდა, დაწყებიდან ოთხ წუთში შეწყდა და 58 წუთის შემდეგ განახლდა. მანამდე ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე თამაშები არასდროს შეწყვეტილა.

## "არმიის" მეტოქეები ცნობილია

კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი თბილისის "არმია" ევროჩელენჯის ჯგუფში ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე ითამაშებს.

გასული წლისგან განსხვავებით, წლეულს ქართული საკლუბო კალათბურთი ევროპულ არენაზე მხოლოდ "არმიით" იქნება წარდგენილი. გასულ სეზონში ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპზე "სოხუმმა" ითამაშა.

6 ინვისს გაიმართა ევროჯელენჯის წილისყრა და გაირკვა, ვის წინააღმდეგ მოუწევს თამაში საქართველოს ჩემპიონს.

H ჯგუფში "არმიის" მეტოქეები იქნებიან გერმანული "ტელეკომ ბასკეტსი", ბელგიური "ანტვერპენი" და ებრაული "ჰოლონის აპოელი".

გასულ სეზონში ქართულმა კლუბმა ამავე ტურნირზე ითამაშა, მაგრამ ჯგუფიდან ვერ გავიდა.

## ინიესტას ქორწილი - ყველა დაპატიჟებულია

ანდრეს ინიესტას ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი დღე დადგა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიო ჩემპიონატის მოგების დღეები. ანდრესი ქორწინდება. ესპანეთის ნაკრებისა და "ბარსელონას" ლიდერს ცოლად მოჰყავს ანე ორტისი, გოგონა, რომელთანაც ორ წელიწადზე მეტია ცხოვრობს.

ანდრესი კარგი ბიჭია, მას ყველასთან შეუძლია კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ ინიესტას ქორწილში დაპატიჟებული პირების სიას გადახედავთ. ერთ-ერთმა ესპანურმა გაზეთმა ქორწილში დაპატიჟებულთა ნაწილის ინფოგრაფიკაც კი შეადგინა.

ანდრეს ინიესტასა და ანე ორტისის ქორწილში იქნებიან: "ბარსელონას" ახლანდელი პრეზიდენტი სანდრო როსელი, მისი წინამორბედი ჟოან ლაპორტა, ლაპორტამდე კატალონიური გუნდის სათავეში მყოფი ჟოან გასპარი, ყველა ის მწვრთნელი, ვისთანაც კი ანდრესს უმუშავია, მათ შორის ლუი ვან გალი, ფრანკ რაიკაარდი, პეპ გვარდიოლა, ტიტო ვილანოვა, ლუის არაგონესი, ვისენტე დელ ბოსკე და ხოსე ანტონიო კამაჩო. ცხადია, ქორწილში ანდრესის თანაგუნდელებიც იქნებიან. აბა, რა ქორწილი იქნებოდა ჩავის, მესისა და პუიოლის გარეშე. მიწვეულთა შორისაა რაფა მარკესიც. ინიესტას არც მადრიდის "რეალი" დავიწყებია. ქორწილში იკერ კასილასი მეგობარ გოგონა სარა კარბონეროსთან ერთად მიიწვია. მოკლედ, ერთ კარგ "კლასიკოს" კრიშტიანუ რონალდუ და ჟოზე მოურინიო აკლია, თუმცა, ალბათ, ქორწილში მათ გარეშეც მოილხენენ.

## Dream Team ლონდონში მოსაგებად მიდის

აშშ-ის საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მაიკ კჟიჟევსკიმ დაასახელა ოლიმპიური ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, საიდანაც ჩანს, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ის ნაკრებს კონკურენტი არ ეყოლება.

ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი, კევინ დიურანი, დერონ უილიამსი, კრის პოლი, რასელ უესტბრუკი, ტაისონ ჩენდლერი, ანდრე იგუოდალა, რუდი გეი, ბლეიკ გრიფინი, ჯეიმს ჰარდენი, ერიკ გორდონი და ენტონი დევისი.

ამ შემადგენლობის უდიდესი ნაწილი პეკინის ოლიმპიურ თამაშებში იღებდა მონაწილეობას. იმ გუნდის ლიდერებიდან აშშ-ის ნაკრებს აკლია დუეინ უეიდი, კრის ბოში და დუაიტ ჰოვარდი.

## გვარდიოლამ რუსეთი უარყო

გუშინ რუსული სპორტული მედია ამტკიცებდა, რომ რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხოსეპ გვარდიოლა დაინიშნება. ამის თაობაზე კომენტარი გააკეთა პეპის აგენტმა ხოსე მარია ორობიტმა.

"ხოსეპს რუსეთის საფეხბურთო კავშირისგან არავითარი მიწვევა არ მიუღია. არ მესმის, საიდან გაჩნდა ეს ჭორი. ახლა გვარდიოლა ოჯახთან ერთად ნიუ იორკშია. პეპი აშშ-ში ერთი წლით აპირებს დარჩენას და დასვენებას. მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს სამწვრთნელო საქმიანობის განახლებაზე", - ამბობს ორობიტი.

## კიდევ ერთი "მეთოფე" "სიტიში"

როგორც ჩანს, ლონდონის "არსენალი" კიდევ ერთ ლიდერს დაკარგავს. გასულ ზაფხულს "არსენალი" სესკ ფაბრეგასმა და სამი ნასრიმ დატოვეს. ესპანელი "ბარსაში" გადავიდა, ფრანგი კი - "სიტიში".

მიმდინარე სატრანსფერო სეზონში კი ლონდონიდან მანჩესტერისკენ გეზის აღებას აპირებს "არსენალის" კაპიტანი რობინ ვან პერსი.

ცნობილია, რომ ჰოლანდიელმა "არსენალთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ამის მიზეზი სწორედ "სიტიდან" მიღებული შეთავაზებაა. ინგლისის მოქმედი ჩემპიონი ვან პერსის სანაცვლოდ 22 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს. ფეხბურთელის ხელფასი კვირაში 225 ათასი იქნება.

ვან პერსის ასეთი გადაწყვეტილება გასაკვირი არ არის. ჰოლანდიელს არაერთხელ უთქვამს, რომ ტიტულები სწყურია, "არსენალის" მესვეურები კი გუნდის გასაძლიერებლად არაფერს აკეთებენ.

# პელე: "დღევანდელ ესპანეთს ბრაზილიის 1970 წლის ნაკრები მოუგებდა"



*1970 წლის ბრაზილიის ნაკრები*

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა პელე ამბობს, რომ 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები ესპანეთის დღევანდელ გუნდზე ძლიერია.

"1970 წლის ბრაზილიის ნაკრებმა დააწესა სტანდარტი, რომელიც სხვათათვის ერთგვარ საზომად იქცა. დღეის იქით ბრაზილიას შეუერთდა ესპანეთიც, მაგრამ ამ გუნდების მოთამაშეებს გვერდიგვერდ მაინც ვერ დააყენებთ", - თავმომწონედ აცხადებს პელე.

"ორმოცი წლის წინანდელი ბრაზილია ბევრად უკეთესი ფეხბურთელებისგან შედგებოდა, ვიდრე ესპანეთი, რომლის რიგებში ორი თუ სამი მაღალი დონის მოთამაშეა, - ბრაზილიელს ციტირებს Goal.com. - ვინ მოიგებდა - დღევნადელი ესპანეთი თუ 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები? რა თქმა უნდა, ჩვენ".

ამასობაში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, მწვრთნელი და ფუნქციონერი ხორხე ვალდანო ერთ-ერთი მათგანია, ვინც ესპანეთის ახლანდელ ნაკრებს ადარებს 1970 წლის ბრაზილიის ფენომენალურ გუნდს. ოღონდ, "ფეხბურთის მეფისგან" განსხვავებით, ვალდანოს მიაჩნია, რომ უკეთესები ესპანელები არიან.

"1970 წელს 15 წლის ვიყავი. მშვენივრად მახსოვს, როგორი განცვიფრებული ვიყავი იმ ბრწყინვალე თამაშით, რომელსაც ბრაზილიელები წარმოგვიდგენდნენ მექსიკაში. ახლანდელი ესპანეთის შემყურეს, იგივე განცდა მეუფლება. თუმცა, არის განსხვავება. 1970 წლის ბრაზილია - ეს იყო 1970 წლის ბრაზილია და მეტი არაფერი. ესპანეთმა კი უკვე სამი ტიტული მოიგო. ოთხი წელიწადია, ესპანეთი ასეთ საოცარ მდგომარეობაში რჩება", - Goal.com-თან საუბარში თავის მოსაზრებას გვიზიარებს ხორხე ვალდანო.

ტურისტული კომპანია ენ ტურის მომსახურების ოფისში, ფასდაკლების ვაუჩერის წარდგენის შემთხვევაში, საჩუქრად მიიღებთ
5%-იან
ფასდაკლებას.

ANTALYA
3* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 592 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 694 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 799 $-დან

BODRUM
3* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 766 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 812 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 997 $-დან

HURGADA
3* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 491 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 555 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 630 $-დან

საქართველო, 0162, თბილისი, ფალიაშვილის 110
ტელ.: (+995 32) 2 400 400; ელ. ფოსტა: ntour@ntour.ge
www.ntour.ge

BDC-Academy
ტრეინინგ ცენტრი
-15%
ჩვენ გამოგვცადე დროშ



თბილისი, რუსთაველის №36
ტელ.: 0322 92 03 30
0322 51 47 30
მობ.: 593 25 25 08
El.fosta.: academy@bdc-center.ge
www.bdc-center.ge
წარმატების ფორმულაა ცოდნა + პრაქტიკა
ერთჯერადი ფასდაკლების ბარათი